საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტი

სამაგისტრო პროგრამა - სპორტის მენეჯმენტი

ნუგზარ ოთინაშვილი

დინამო თბილისის განვითარების გეგმა

ნაშრომი შესრულებულია სპორტის მენეჯმენტში მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი - შოთა გოგიტაური

მოწვეული პროფესორი

თბილისი 2021

ანოტაცია

თანამედროვე ფეხბურთში, ისევე როგორც ზოგადად სპორტში, წარმატება არ იზომება მხოლოდ სპორტული შედეგით (იგულისხმება გუნდის სტაბილური მდგომარეობა). წარმატებული საფეხბურთო კლუბი ნიშნავს მომგებიან ბიზნესს, გამართულ მენეჯმენტს/სტრუქტურას, სწორ პოლიტიკას და რათქმაუნდა სპორტულ შედეგს, რომლის მისაღწევად ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტებია საჭირო.

ნაშრომის მიზანია:

ა) გაანალიზოს საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ ამჟამინდელი მდგომარეობა მისი ისტორიული წარსულისა და მემკვიდრეობის ფონზე.

ბ) მიმოიხილოს თანამედროვე საფეხბურთო ბაზარი, ტენდენციები და მაგალითები.

გ) შეიმუშაოს განვითარების გეგმა.

სარჩევი

1. შესავალი
2. ისტორია
3. დინამო თბილისი
4. დინამოს აკადემია
5. თანამედროვე ფეხბურთი
6. კვლევა
7. გეგმა
8. გამოყენებული წყარო

შესავალი

ქართული საფეხბურთო ცხოვრება საუკუნეზე მეტს ითვლის და შორეულ 1907 წელს იღებს სათავეს. ისევე როგორც ქვეყანას, ფეხბურთსაც ქონდა და აქვს ცუდი და კარგი პერიოდები. იყო პერიოდი როდესაც საქართველოში ფეხბურთით ცხოვრობდნენ, ყველა, დიდიცა და პატარაც, ქალიცა და კაციც მოუთმენლად ელოდებოდა მათი საყვარელი გუნდის თამაშს. სტადიონს ავსებდნენ და გულმხურვალედ ქომაგობდნენ

საყვარელ გუნდს, გუნდს რომელსაც მათთვის პირველ რიგში თამაშით და ასევე შედეგითაც უდიდესი სიამოვნება მოქონდა. დღეს კი ეს ყველაფერი, მხლოდ გაგონილი გვაქვს უფროსი თაობისგან და ნანახი მხოლოდ ტელევიზორებში. მართალია, დღესაც უყვართ პლანეტის ყველაზე პოპულარული სპორტი საქართველოში მაგრამ, სხვადასხვა მიზეზების გამო ძალიან დაბალ დონეზეა ფეხბურთი ჩვენს ქვეყანაში. ქართული საფეხბურთო ისტორიის მთავარი შემოქმედი, დინამო თბილისი კი შეიძლება ითქვას კრიტიკის ყველაზე დიდი ობიექტი.

საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი 1925 წელს დაარსდა (https://fcdinamo.ge/ge/club/history#12) . დაარსებიდან დღემდე კლუბში და მის გარშემო უამრავი რამ შეიცვალა, თუმცა არ შეცვლილა ერთი - დღემდე დინამო ქართული ფეხბურთის ფლაგმანად ითვლება და გულშემატკივარს მუდამ მაქსიმალური შედეგის მოლოდინი და მოთხოვნები აქვს. თუმცა საგულისხმოა რომ თავად გულშემატკივარიც ნაკლებს გასცემს კლუბისთვის, იმასთან შედარებით რასაც ისტორიულად შეჩვეულია ეს გუნდი. უკვე წლებია დინამო თბილისი საშინაო მატჩებს ძირითადად ცარიელი ტრიბუნების წინაშე მართავს. ამის გამომწვევი მიზეზები არაერთი შეიძლება იყოს, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებ დეტალურად.

მანამდე კი ვთქვათ რომ დღევანდელი მდგომარეობა კლუბისთვის შეიძლება ითქვას რომ ყველაზე მძიმეა, მიუხედავად იმისა რომ დინამო თბილისი ბოლო ორი წელია ზედიზედ გახდა ჩემპიონი ეროვნული ლიგის. ყველაზე უსუსური გამოსვლა საერთაშორისო ასპარესზზე სწორედ ბოლო ცდაზე ქონდა გუნდს. ამ ამბავში ყველაზე ცუდი ისაა რომ, ყოველ ჯერზე გულშემატკივარი და კლუბი თანდათან შორდება ერთმანეთს და ორ სხვადასხვა მხარეს დგება.

ისტორია

დავიწყოთ თავიდან, როდესაც საბჭოთა ისტორიის საწყის პერიოდში 1925 წელს, თბილისში, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ინიციატივით შეიქმნა საფეხბურთო კლუბი, რომელსაც ამავე „ორგანიზაციის“ სახელი ეწოდა, დინამო თბილისი. იქიდან მოყოლებული დინამო საქართველოში ყველაზე პოპულარული კლუბია და ყველა დიდი სპორტული წარმატება ამ გუნდს უკავშირდება. საბჭოთა კავშირის დროს დინამო ერთგვარი ნაკრები იყო საქართველოსი, ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელები სწორედ ამ გუნდში მოდიოდნენ სათამაშოდ, მიუხედავად იმისა რომ მაგალითად ქუთაისის ტორპედოსაც ყავდა გუნდი რამდენჯერმე საბჭოთა ფეხბურთის უმაღლეს ლიგაში. ასე თუ ისე დინამოში ხდებოდა მობილიზება „ქართული საფეხბურთო ძალის“ და გულშემატკივარიც ამ გუნდის გარშემო ერთიანდებოდა, მხარს უჭერდა რადგან დინამო მათ იდენტობას წარმოადგენდა მოედანზე. უფრო შორს რომ წავიდეთ, ფეხბურთი იყო ალბათ ერთადერთი საშუალება სადაც ვამარცხებდით მათ ვისი დამარცხებაც ერს სურდა რეალურ ცხოვრებაში. საფეხბურთო მოედანი იყო ადგილი სადაც პატარა ომს იგებდა საქართველო დიდი თავისუფლებისთვის. ამ დროს გულშემატკივრობის კულტურა საკმაოდ მაღალ დონეზე იყო საქართველოში, ისევე როგორც ფეხბურთი. სხვადასხვა არაოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით (https://www.youtube.com/watch?v=vd3pPYOr1Rw&t=389s) ამ პერიოდში ყველაზე მეტი ადამიანი იყო ფეხბურთით დაკავებული, ეს რიცხვი დაახლოევით 80 000 -100 000 ია. რათქმაუნდა მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ წარმატებული ადგილობრივი გუნდი და მისი წყალობით გაზრდილი პოპულარობა, მაგრამ ასევე ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ზოგადად სახელმწიფო მექანიზმი, რომელშიც შეიძლება ითქვას სავალდებულო იყო მუნიციპალიტეტებში საფეხბურთო გუნდის არსებობა, ამის მაგალითია იმ პერიოდის ქართული მხატვრული ფილმი „ფეოლა“ (https://www.youtube.com/watch?v=op4PLJHP5h8) . შესაბამისად დიდი კონკურენციისა და არჩევევნის პირობებში მოხდა ხარისხის ზრდა რამაც შედეგზეც იმოქმედა.

მაღალი ჩართულობა სპორტში ლოგიკურად გულშემატკივრების რაოდენობაზეც ისახებოდა, ასევე შეიძლება ითქვას რომ იმ პერიოდში ახალგაზრდებს და არამარტო, ნაკლები არჩევანი ქონდათ გართობის, დროის გატარების, ვიდრე მაგალითად დღეს, შესაბამისად სტადიოზე მისვლის და ქომაგობის ალბათობა მაღალი იყო.

შემდეგ პერიოდი იყო 90 წლები, როდესაც ქართული ფეხბურთი დამოკიდებლად განაგრძობდა არსებობას და ცდილობდა ევროპულ საფეხბურთო ოჯახში შესვლას. ამ პერიოდში იწყება რეგრესი, როგორც სპორტული შედეგში, ასევე ქართული ფეხბურთისა და მაყურებლის ურთიერთობაში. ნელნელა იწყებს საზღვრებს გარეთ გადინებას ქართული საფეხბურთო ძალა და ეს ყველაფერი იწვევს დასუსტებას როგორც კლუბების, ამ შემთხვევაში დინამო თბილისის, ასევე ზოგადად ფეხბურთის დონის. უნდა ითქვას რომ ეს ლოგიკური პროცესი იყო, ყველას სურდა ბედის ცდა უცხო, ბევრად განვითარებულ საფეხბურთო ქვეყანაში, მითუმეტეს რომ ეს ზოგადად ახალი ხილი იყო მთლიანად საქართველოსთვის. მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირიდან ფეხბურთელების წასვლა სხვა ქვეყანაში სხვადასხვა მიზეზების გამო შეუძლებელი იყო. უბრალოდ ამ პროცესისთვის მზად არ აღმოჩნდა ქართული ფეხბურთი. არ არსებობდა არანაირი გეგმა განვითარების, არანაირი დოკუმენტი, რომელსაც მიყვებოდა საფეხბურთო სამყაროში დასაქმებული ხალხი.

ამ დროს კი მსოფლიო ფეხბურთში ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი იწყება. პერიოდი როდესაც საფეხბურთო ცხოვრებაში შემოდის სიტყვები - მენეჯმენტი და მარკეტინგი. არამარტო შემოდის, არამედ უდიდეს როლს თამაშობს ამ სპორტის ახალ საფეხურზე აყვანაში. სწორედ ეს არის მომენტი რომელიც ქართულ ფეხბურთს გამორჩა და რომლის შედეგსაც დღემდე ვიმკით. მაშინ როდესაც ხალხის საყვარელი სპორტი გახდა მსოფლიოში ერთერთი ყველაზე დიდი ბიზნეს ინდუსტრია, საქართველოში კლუბების უმეტესობა მუნიციპალიტეტზე იყო ჩამოკიდებული ფინანსურად და მეტის ამბიცია არც ქონდათ.

უნდა აღინიშნოს რომ ამ დროის განმავლობაში ბევრი გუნდი ყოფილა ქართული ფეხბურთის სათავეში, მაგრამ სამწუხაროდ, ყველა მათგანი მოკლევადიანი პროექტი აღმნოჩნდა, გარდა დინამო თბილისისა. ეს გარკვეულწილად გუნდის ისტორიისა და მემკვიდრეობის დამსახურებაა.

რაც შეეხება საერთაშორისო ასპარეზს, ბევრი მცდელობის მიუხედავად დინამო თბილისი მხოლოდ ერთხელ მოხვდა რანგით მეორე ევროპული ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე და დღემდე ეს ითვლება დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდ წარმატებად.

დინამო თბილისი

ასეთი ისტორიისა და მემკვიდრეობის ფონზე ძალიან ძნელია გუნდს დამართო ის რაც დღეს სჭირს დინამო თბილისს. ცარიელი ტრიბუნები, კატასტროფული შედეგი საერთაშორისო ასპარეზზე, ცუდი იმიჯი გულშემატკივრებში და კიდევ უამრავი პრობლემა უშუალოდ კლუბში. ყველაფრის ჩამოთვლა რომ არ დავიწყოთ გუნდიდან გაშვებული მწვრთნელების (https://fcdinamo.ge/ge/club/coaches) , ფეხბურთელებისა და მენეჯერების რაოდენობა გვეტყვის რომ გუნდს ბევრი პრობლემა აქვს და შველა სჭირდება, მაგრამ საშველი არსაიდან სჩანს, თითქოს.

როდესაც ვახსენებთ კლუბში პრობლემების არსებობას, ამის ყველაზე კარგი გამოხატულება არის გეგმის არ არსებობა, უფრო სწორად კლუბს აქვს მხოლოდ ერთი გეგმა დოკუმენტის სახით რომელიც ბავშვთა ფეხბურთს ეხება, უშუალოდ ამ დოკუმენტზე ქვემოთ ვისაუბრებ.

ყველა, სპორტში და არამხოლოდ სპორტში, თანხმდება რომ წარმატების მიღწევის ერთერთი პირველი ეტაპი არის დაგეგმვა ამ წარმატების. უფრო დეტალურად რომ ვთქვათ კვლევა, პრობლემის იდენტიფიცირება, გაანალიზება, გამოსავლის ძიება,

საუკეთესოს ვარიანტის შერჩევა, განხორციელების დაგეგმვა, კონტროლი თუ რამდენად სწორად მიდის მუშაობა ამ გეგმაზე, ამ ყველაფერს უნდა ქონდეს დოკუმენტის სახე. სამწუხაროდ, როგორც უკვე ვახსენე ერთადერთი დოკუმენტრი რაც კლუბში არსებობს ამ მიმართულების არის ბავშვთა ფეხბურთის განვითარების, რაც ნამდვილად მუშაობს, ამას აკადემიის შედეგები აჩვენებს.

ეს არის ერთერთი მთავარი მიზეზი იმ ქაოსისა რაც დღეს კლუბში ხდება, არავინ იცის სად არის კლუბი დღეს და საით მიდის, მაგრამ რაც მთავარია ვიცით საიდან მოვდივართ, ვიცით რომ დინამო ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბია (https://fcdinamo.ge/ge/club/titles), ქართული ფეხბურთის ფლაგმანია, კავკასიის საუკეთსო გუნდია. სამწუხარო ისაა რომ არენის გამომცხადებელს ცარიელი ტრიბუნების წინაშე უწევს ამ სიტყვების ომახიანად თქმა და ცოტა სასაცილო ჩანს ამის ფონზე. კიდევ უფრო სამწუხაროა რომ ამის შესაცვლელად, გულშემატკივრის სტადიონზე მოსაყვანად არაფერი კეთდება კლუბის მხრიდან, მეტიც როგორც უკვე ავღნიშნე დინამო თბილისი და გულშემატკივარი უფრო და უფრო შორდება ერთმანეთს და სხვადასხვა მხარეს დგება.

არადა ეს სპორტი გულშემატკივრისაა და მათი სტადიონზე ყოფნა კლუბისთვის პირდაპირ თუ ირიბად მომგებიანია.

მაგალითად, ბუქარესტის დინამო, რომელიც შეიძლება ითქვას რომ რუმინული ფეხბურთის ისტორიაში ერთერთი საუკეთესო კლუბია, მსუბუქად რომ ვთქვათ, არც ისე კარგი პერიოდი აქვს ამ გუნდს. ბოლო სეზონი ცხრილის ქვედა ნაწილში დაასრულა, ევროტურნირებზე რომ არაფერი ვთქვათ. ამის მიუხედავად კლუბსა და გულშემატკივარს შორის მაინც მჭიდრო კავშირია.

ამ მჭიდრო კავშირს რამდენიმე თვის წინ მომხდარი ფაქტი კარგად გამოხატავს. პანდემიით გამოწვეული ფინანსური კრიზისის დროს, გულშემატკივრებმა გადაწყვიტეს კლუბს დახმარებოდნენ და მატჩზე დასასწრები ბილეთები სრულად

შეიძინეს. მატჩზე, რომელსაც ვერცერთი მათგანი ვერ დაესწრებოდა პანდემიის საწინააღმდეგოდ დაწესებული შეზღუდების გამო. აღსანიშნავია რომ ეს მაჩვენებელი

აღმოჩნდა სარეკორდო გაყიდული ბილეთების რაოდენობის მხრივ, სტადიონზე სადაც რუმინეთის ნაკრები მართავს საშინაო მატჩებს.

(https://www.reddit.com/r/football/comments/kymy0i/romanian_team_dinamo_bucharests_fans_bought/)

Romanian Team Dinamo Bucharest's Fans Bought Virtual Tickets For A Football Match And Broke The Record For The Number Of Tickets Sold On That Stadium In Less A Week!

News

Dinamo Bucharest's fans bought a total of 54.597 tickets for their Saturday match against Chindia Târgoviște, despite them not being allowed to go watch the match on the stadium. The amount of tickets sold is bigger than the amount from any other match (See Image).

With the financial troubles caused by the majority shareholder by signing players on enormous wages and not contributing with a single cent to the club's finances, the fans are doing everything they can through DDB(Doar Dinamo București), the fans' organization that holds 20%. For every match, the fans are buying tickets for the matches, despite not being able to go to the stadium, with all the money going to the team to keep it from disappearing from the first stage of Romanian Football.

Today, these fans have done something incredible and unmatched. They bought 54.597 tickets in order to send a message to everyone, the message that "Dinamo is not dying."

ძნელი წარმოსადგენია იგივე სცენარი იქ სადაც კლუბის წარმომადგენლები და გულშემატკივრები ერთმანეთს სიტყვიერად და ფიზიკურად უპირისპირდებიან.

დინამოს აკადემია

ზოგადად დინამო ყოველთვის გამოირჩეოდა ნიჭიერი და წარმატებული ახალგაზრდა ფეხბურთელების აღზრდით, მაგრამ ბოლო დეკადაში განხორციელებული პროექტი, რომელსაც „ვიტალი დარასელიას სახელობის დინამო თბილისის საფეხბურთო აკადემია“ ჰქვია, უკვე დიდ როლს თამაშობს არამარტო კლუბის არამედ ზოგადად ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრებაში.

შეიძლება ითქვას რომ აქ სიტუაცია ძალიან განსხვავდება კლუბში მიმდინარე პროცესებისგან. ძალიან დალაგებულია სტრუქტურა, რომელიც გამართულად მუშაობს და შედეგიც აქვს. ბევრი საერთაშორისო ტურნირი სადაც დინამოს აკადემია საკმაო წარმატებით ასპარეზობს, საქართველოს ასაკობრივი ნაკრებები ძირითადად ახალგაზრდა დინამოელებით არის დაკომპლექტებული და რათქმაუნდა ძირითადი გუნდი სადაც თავის დამკვიდრების საშუალება ბევრ ახალგაზრდას ეძლევა.

აკადემიაში ძალიან კარგი საცხოვრებელი პირობებია სხვადასხვა რაიონიდან ჩამოყვანილი ბავშვებისთვის. აქ ისინი ყველაფერს იღებენ რაც სჭირდებათ ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში. ფეხბურთისა და ჯანსაღი ცხოვრების გარდა აკადემია განათლებაზეც ზრუნავს და ამ მიმართულებითაც აქტიურადაა ჩართული აკადემიის ფეხბურთელების განვითარებაში.

აკადემიაში არის უფასო და ფასიანი გუნდები, რომლებიც სკოლების მიხედვით არის დაყოფილი. სულ 4 სკოლაა და სკოლებს შორის ბავშვების გადაყვანა რათქმაუნდა მათ პროგრესზე არის დამოკიდებული.

13 წლის ასაკიდან, გამორჩეულად ნიჭიერ ახალგაზრდებს უფორმდებათ კონტრაქტი (რათქმაუნდა მშობლების თანხმობით), რომელიც ძირითადად 3 წლიანია.

როგორც უკვე ვახსენე, კლუბს აქვს ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამა რომელი 2020-2023 წლებზეა გაწერილი და რომელიც მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

1.მიზნები და ამოცანები

აქ ნახსენებია სხვადასხვა პრინციპები რის მიხედვითაც მოქმედებს კლუბი:

- უმთავრესია სწავლების პროცესი, და არა რეზულტატი.
- ფეხბურთის, როგორც სპორტის სახეობის, შეთავსება მოთამაშეების ასაკსა და შესაძლებლობებთან.
- ფეხბურთი თამაშია, ამიტომ მოთამაშეებმა უნდა შეძლონ მისით ტკბობა.
- საფეხბურთო ბაზის ორგანიზება (საორგანიზაციო სტრუქტურა, პერსონალი, ურთიერთობები კლუბის ფუნქციონირების ფარგლებში.)
- მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელების მოზიდვა კლუბში და შესაბამისად მათი კვალიფიკაციის სისტემატიურად ამაღლება.
- ბავშვს ფეხბურთთან ერთად ხელი არ უნდა შეეშალოს განათლების ამაღლებაში.

2.ახალგაზრდული ფეხბურთის სექტორის ორგანიზაცია

<u>საორგანიზაციო სქემა</u>

დირექტორი

↓

აკადემიის დირექტორი

↓

ახალგაზრდა ფეხბურთელთა განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიის მთავარი მწვრთნელი

↓

ეს ასრი სტრუქტურა რომლის მიხედვითაც მუშაობს აკადემია.

3.შემდეგი პუნქტი არის პერსონალი

სკაუტები, ადმინისტრაცია, სამედიცინო მიმართულება ყველა მიმართულებიტრ გარკვეულ კვალიფიკაციას და გამოცდლებას ითხოვს კლუბი.

4.ინფრასტრუქტურა, რომელიც ძალიან მაღალ დომეზეა განვითარებული, ვგულისხმობ რათქმაუნდა მოედნებსა და საცხოვრებელ პირობებს.

6. საწვრთნელი პროცესი სადაც დეტალურად არის აღწერილი ყველაფერი ყველა ასაკობრივ ჯგუფში.

7. ანტი-დოპინგის შესახებ განათლების პროგრამა და ფეხბურთელების სამედიცინო მომსახურება

რა არის დოპინგი, რატომ არის უეფა დოპინგის წინააღმდეგი, სად და როდის ატარებს უეფა დოპინგ-ტესტებს, რა უნდა გააკეთონ ფეხბურთელებმა თუ მოთხოვენ დოპინგ-კონტროლის გავლას, რ არის აკრძალული სია, დოპინგის ან აკრძალული მეთოდების გამოყენების საფრთხე, გაფრთხილება, რა უნდა გააკეთოს ფეხბურთელმა, თუ სჭირდება აკრძალული სუბსტანცია ან მეთოდი სამკურნალოდ ან აღდგენისათვის, როგორ მიმართოს ფეხბურთელმა ე.წ. თერაპიული მიზნით გამოყენებას (TUE-ს), ვინ, რა.

8. ახალგაზრდა ფეხბურთელების სამედიცინო შემოწმება

9. შემოწმებისა და გამოხმაურების მიღების პროცედურა

10. პროგრამის ხანგრძლივობა

11. თამაშის წესების სასწავლო პროგრამა

12. განათლების მიღების სავალდებულოობა

პ.ს. მე-5 პუნკტი დოკუმენტშიც გამოტოვებულია.

საერთაშორისო შეჯიბრებების გარდა რათქმაუნდა მნიშვნელოვანია ადგილობრივი თამაშები და კონკურენცია, რომელიც ამ ბავშვებს სჭირდებათ თითოეულ ეტაპზე განვითარებისთვის. უნდა ითქვას რომ ამ ეტაპზე მხოლოდ 3 გუნდს აქვს აკადემია, საბურთალო, ლოკომოტივი და დინამო თბილისი. ასევე მოქმედებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აკადემიაც, რომელიც 17 წლამდე ზრდის ფეხბურთელებს და შემდეგ უშვებს სხვადასხვა კლუბებში. ამ აკადემიებს შორის განსხვავება ინფრასტრუქტურა და შესაძლებლობებია. დინამოს აკადემია გაცილებით მეტს

სთავაზობს ახალგაზრდა ფეხბურთელებს და ლოგიკურია რომ ამ აკადემიაში იყრის თავს ქვეყნის გამორჩეული ტალანტების უმეტესობა.

თანამედროვე ფეხბურთი

თანამედროვე ფეხბურთი ბევრი კომპონენტისგან შედგება და თითოეული კომპონენტი ყოველდღიურად ვითარდება. საუბარია რათქმაუნდა არასათამაშო კომპონენტებზე. მოედნის გარეთ ხდება ძალიან ბევრი და მნიშვნელოვანი რამ ფეხბურთისთვის. ერთერთი ასეთი კომპონენტია მენეჯმენტი. ამ რგოლს კლუბებში და ზოგადად საფეხბურთო სამყაროში დიდი გავლენა აქვს. აქ წყდება კლუბის მართვის სხვადასხვა საკითხი, პოლიტიკა, ტრანსფერები და სხვა ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი. შესაბამისად მენეჯერები არიან ადამიანები რომლებსაც უდიდესი როლი აქვთ კლუბების წარმატებაში. ხშირ შემთხვევაში მათ მიერ განსაზღვრული პოლიტიკა გადამწყვეტი ფაქტორია კლუბის წარმატების.

დიდ კლუბებზე და ჩემპიონატებზე რომ არ ვისაუბროთ მაგალითად ავიღოთ დონეცკის შახტარი. 2000 იანი წლების დასაწყისში უკრაინული კლუბის მესვეურებმა განავითარეს სკაუტინგის სისტემა, დაიწყეს სამხრეთ ამერიკულ, ბრაზილიურ ბაზარზე მუშაობა, სადაც ისინი დაბალ ფასად ყიდულობდნენ ნიჭიერ ფეხბურთელებს და გარკვეული პერიოდის შემდეგ გაცილებით ძვირად ყიდდნენ. ამ პერიოდში, 2000 იანი წლების დასაწყისში დაარსდა შახტარის აკადემია, რომლის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა ამ სისტემამ. ლეგიონერების ჩამოყვანამ და ადგილობრივი ბაზრის ათვისებამ გახადა ეს აკადემია საუკეთესო ქვეყანაში (https://shakhtar.com/en/club/academy/) . ეს მომგებიანი აღმოჩნდა როგორც ფინანსურად, ასევე შედეგის მხრივ. დღეს დონეცკური გუნდი საკმაოდ მაღალი

დონის გუნდად ითვლება და ამაყად იკავებს საკუთარ პოზიციებს ევროპულ საფეხბურთო ოჯახში.

მეორე მაგალითი შეიძლება იყოს ზაგრების დინამო. ხორვატების პოლიტიკა განსხვავდება წინა მაგალითისგან. ისინი აქცენტს აკადემიაზე და საკუთარ აღსაზრდელებზე აკეთებენ. ყოველწლიურად აწინაურებენ ასაკობრივი გუნდებიდან ფეხბურთელებს ძირითად გუნდში, სადაც ეს ფეხბურთელები ბევრად სწრაფად ვითარდებიან რადგან არ უჭირთ ადაპტაცია ძირითად გუნდში. უწევთ თამაში საშუალო დონის ეროვნულ ჩემპიონატში და ევროსარბიელზე, სადაც ამჩნევენ უკეთესი ლიგის უკეთესი გუნდები და ყიდულბენ.

სწორედ ესაა ამ აკადემიის მიზანი, გაზარდოს და გაყიდოს ფეხბურთელი ტოპ 5 ჩემპიონატიდან ერთერთში. (https://mypersonalfootballcoach.com/inside-dinamo-zagreb-academy/)

ერთრთი მნიშვნელოვანი დეტალი აკადემიის სავარჯიშო პროცესში არის სრული თავისუფლება ბურთთან ურთიერთობის დროს. არცერთი მწვრთნელი არ ზღუდავს აკადემიის აღსარზრდელს ამ კომპონენტში. მათი მიზანია კრეატიული ფეხბურთელების გაზრდა, რაშიც ეს მიდგომა ეხმარება ფეხბურთელს.

უნდა ითქვას რომ, დინამო თბილისშიც მსგავსი მიდგომაა, ბავშვები პირველ რიგში უნდა იღებდნენ სიამოვნებას ფეხბურთის თამაშით, არ უნდა ეშინოდეთ შეცდომის დაშვების და სრული თავისუფლება ქონდეთ ბურთთან ურთიერთობისას.

ეს ორი მაგალითი არის საუკეთესო ქართული კლუბებისთვის და კონკრეტულად დინამო თბილისისთვის. ქართული ფეხბურთის ფლაგმანს ყველა წინაპირობა აქვს რომ ეს ორი პოლიტიკა გამოიყენოს წარმატების მისაღწევად და როგორც სპორტული ასევე ფინანსური შედეგისთვის.

კვლევა

იმისთვის რომ მეჩვენებინა ხალხის აზრი დინამო თბილისზე ჩავატარე კვლევა და გამოვკითხე სპეციალურად შერჩეული აუდიტორია. ესენი არაინ ადამიანები ვინც ახლოს არიან ქართულ ფეხბურთთან. კვლევის ნაწილი ჩატარდა დინამო არენაზე და გამოიკითხა თამაშის სანახავად მისული გულშემატკივრების ნაწილი და ასევე პირადად შერჩეული ადამიანებში ვინც კომპეტენტურები არიან ქართულ ფეხბურთში.

კითხვებიტ მინდოდა გამეგო ნაშრომში განხილული თემების შესახებ გულშემატკივრის აზრი, ამიტრომ შევარჩიე შემდეგი კითხვები:

1. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას - დინამო თბილისი წარმატებული საფეხბურთო კლუბია
2. შეაფასეთ საფეხბურთო კლუბ "დინამო თბილისის" სპორტული შედეგი 5 ბალიანი სისტემით (1 არის წარუმატებელი, 2-ნაკლებად წარმატებული, 3-ნეიტრალური პოზიცია, 4-წარმატებული, 5-სრულიად წარმატებული)
3. შეაფასეთ საფეხბურთო კლუბ "დინამო თბილისის" მენეჯმენტი 5 ბალიანი სისტემით (1 არის წარუმატებელი, 2-ნაკლებად წარმატებული, 3-ნეიტრალური პოზიცია, 4-წარმატებული, 5-სრულიად წარმატებული)
4. შეაფასეთ საფეხბურთო კლუბ "დინამო თბილისის" სატრანსფერო პოლიტიკა 5 ბალიანი სისტემით (1 არის წარუმატებელი, 2-ნაკლებად წარმატებული, 3-ნეიტრალური პოზიცია, 4-წარმატებული, 5-სრულიად წარმატებული)

5. შეაფასეთ საფეხბურთო კლუბ “დინამო თბილისის” აკადემიის მუშაობა 5 ბალიანი სისტემით (1 არის წარუმატებელი, 2-ნაკლებად წარმატებული, 3-ნეიტრალური პოზიცია, 4-წარმატებული, 5-სრულიად წარმატებული)

ასევე აუდიტორიას ვთხოვე საკუთარი აზრი გამოეთქვა შემდეგ საკითხებზე

1. რას შეცვლიდით ან რის გამოსწორებას ისურვებდით საფეხბურთო კლუბ “დინამო თბილისში”
2. დადიხართ თუ არა საფეხბურთო კლუბ “დინამო თბილისის” საშინაო მატჩებზე
3. თუ დადიხართ რა არის მთავარი მიზეზი / თუ არ დადიხართ რატომ და რა შემთხვევაში ივლიდით

კვლევის შედეგები შემდეგნაირია:

სულ გამოიკითხა 105 ადამიანი



თითოეულ კითხვას მოყვებოდა განმარტება თუ რას ვგულისხმობდი შეკითხვაში. შესაბამისად ალბათობა რომ აუდიტორიას სწორად ვერ გაეგო კითხვის არსი და თუ ის რა მაინტერესებდა კონკტერულად ძალიან დაბალია.

ასევე აქაც განვმარტავ თითოეულ კითხვას.

პირველი კითხვაში მთავარი იყო სწორი ფორმულირება სიტყვა წარმატების. შეიძლება მაგალითად ეროვნული ლიგის მოგება წარმატებად ჩაითვალოს და ასეც არის, მაგრამ, როგორც ნაშრომის ანოტაციაში ავღნიშნე წარმატება არ არის მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ტურნირის თუ შედეგის გუნდის სასარგებლოდ დაფიქსირება. აქ ვგულისხმობ კლუბის სტაბილურ მდგომარეობას როგორც საფეხბურთო შედეგის მხრივ, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ეროვნული ლიგით, ასევე როგორც ორგანიზაციის, რომელიც სტაბილურად გამართულად მუშაობს და აკმაყოფილებს კლუბის საქმიანობაში ჩართულ სხვა მხარეებსაც.



მეორე კითხვაში აუდიტორიას უნდა შეეფასებინა კონკრეტულად სპორტული შედეგი. აქაც ყურადღება გამახვილებული იყო როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივ დონეზე ნაჩვენები შედეგი.



რაც შეეხება კითხვას მენეჯმენტზე, უნდა ითქვას რომ კითხვა არ ყოფილა კონკრეტულ სახელებზე და გვარებზე დასმული. აქ იგულისხმებოდა მენეჯმენტი როგორც პროცესი კლუბის მართვის და პოლიტიკა.



სატრანსფერო პოლიტიკაში იგულისხმება ფეხბურთელების გაშვებაც და მოყვანაც. თუ როგორ ხდება ტრანსფერები წასვლის დროს და რაზე კეთდება აქცენტი მოყვანის დროს. აუდიტორიას ვთხოვე მხედველობაში ქონოდა ბოლო დეკადაში განხორციელებული ტრანსფერეები.



აკადემიის მუშაობის შეფასების დროს მთავარი იყო აუდიტორიას გაეთვალისწინებინა როგორც უშუალოდ აკადემიის მუშაობა და სპორტული შედეგები, ასევე მხედველობაში ქონოდა ძირითადი გუნდი და ის თუ რამდენად იყენებ ძირითადი გუნდი აკადემიას.

გეგმა

იქიდან გამომდინარე რომ ნაშრომი არ ეხება კლუბის განვითარების რაიმე კონკრეტულ მიმართულებას, მაგალითად კონკრეტულად მენეჯმენტს, კონკრეტულად მარკეტინგს ან კონკრეტულად სპორტულ მიმართულებას, არამედ აერთიანებს ყველა მათგანს, ასევე კლუბში არსებულ ყველა პრობლემასა თუ გამოწვევას, გეგმა იქნება ზემოთ ჩამოთვლილ ყველა მიმართულებაზე.

პირველ რიგში დავიწყებ მენეჯმენტით. კვლევის შედეგებს თუ გადავხედავთ ვნახავთ რომ დინამოს მენეჯმენტს, რბილად რომ ვთქვათ, არც ისე კარგი იმიჯი აქვს გულშემატკივრებში, ასვე შედეგების მიხედვით წარმატებულს ვერ ვუწოდებთ დღევანდელ მდგომარეობას. აქედან გამომდინარე ცვლილებებია საჭირო, არ ვგულისხმობ კონკრეტულ სახელებს და გვარებს. სისტემური ცვლილებებია საჭირო. ამას შეიძლება ეწოდოს „რებრენდინგი სისტემის, სტრუქტურის“.

ოპტიმალური ვარიანტია კლუბში შეიქმნას ბორდი, რომელიც გააგრძელებს მართვას. ბორდის წევრები შეიძლება იყვნენ, პრეზიდენტი, გენერალური დირექტორი, სპორტული დირექტორი, მწვრთნელი, გუნდის კაპიტანი, აკადემიის ხელმძღვანელი, გულშემატკივრების წარმომადგებელი (ან წარმომადგენლები).

ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წევრი აქ გულშემატკივარია. იქიდან გამომდინარე რომ, გუნდს ცუდი იმიჯი აქვს გულშემატკივრებში და როგორც უკვე ავღნიშნე უფრო და უფრო შერდებიან კლუბი და გულშემატკივრები ერთმანეთს, ეს სიახლე გარდამტეხ როლს შეასრულებს სიტუაციის გამოსწორებაში. დეტალურად აღვწერეს როგორ უნდა მოხდეს.

ზოგადად ევროპაში, და არამარტო, მიღებული პრაქტიკაა როდესაც კლუბის წილს გულშემატკივრები ფლობენ. მაგალითად გერმანიაში პროფესიონალური კლუბების უმეტესობა ესეა. დინამოს შემთხვევაში კლუბის გარკვეული პროცენტული წილი, მაგალითად 5%, სიმბოლურ თანხად გადაეცემა გულშემატკივრებისგან შემდგარ

ორგანიზაციას. კონკრეტულად ამ პროცენტულ წილს განკარგავენ გულშემატკივრები, თუ როგორ უნდა დაიხარჯოს, რას უნდა მოხმარდეს კლუბში. რათქმაუნდა მხოლოდ ხარჯვას განკარგავენ და ვერ მოხდება ამ პროცენტლი წილით ფინანსური სარგებლის მიღება.

რაც შეეხება ამ ორგანიზაციას, ძირითადად დაკომპლექტდება ადამიანებისგან ვინც იმ სიმბოლურ თანხას გადაიხდის, შემდგომ დამოუკიდებლად გააგრძელებს ფუნქციონირებას. აირჩევენ წარმომადგენელს (ან წარმომადგენლებს) რომელიც იქნება ბორდის წევრი. შიდა ორგანიზაციულ პროცედურებს მოაგვარებენ კლუბისგან დამოუკიდებლად.

დადებითი მხარეები ამ ცვლილების:

გულშემატკივრები ჩაერთვებიან კლუბის მართვაში, გადაინაწილებენ პასუხისმგებლობას კლუბში მომხდარ ყველა პროცესზე, გამოსწორდება იმიჯი მმართველობის, მართვა გახდება ეფექტური, გაჩნდება ბევრი ინიციატივა, ბევრი აზრი გუნდის გაუმჯობესების.

უარყოფითი მხარეები:

გამოკვეთილი უარყოფითი მხარე არ არსებობს, თუმცა გარკვეულ პროცესებში შეიძლება მოხდეს გადაცდომა რომელიმე წარმომადგენლის მხრიდან. თუმცა ამის კონტროლი შეუძლია ბორდს და დიდ პრობლემას არ წარმოადგენს.

შემდეგი ცვლილება იქნება გამჭირვალობა. ვგულისხმობ ფინანსურ მხარეს. წელს პირველად მოხდა კლუბის ფინანსური დოკუმენტის გამოქვეყნება საიტზე, თუმცა არასრულად და იქაც არის გარკვეული კითხვები. მაგალითად ხელფასებზე, კლუბში არსებულ ვალზე, სპონსორებისგან აღებულ თანხაზე და ა.შ.

გამჭირვალობა აუცილებელია ნდობისთვის და ჯანსაღი პროცესებითვის.

სპორტული მიმართულების ცვლილება დამოკიდებულია კლუბის პოლიტიკაზე. მაგალითად იქიდან გამომდინარე რომ დინამოს აკადემია საკმაოდ მაღალი დონისაა აქცენტი უნდა გაკეთდეს ახალგაზრდა ფეხბურთელებზე, მათ განვითარებაზე. რათქმაუნდა დიდი მიზნებისთვის აუცილებელია ტალანტების გარკვეული პერიოდით შენარჩუნება. თუმცა ამ პროცესებს ხელს ვერ შეუშლის კლუბი, ამიტომ უფრო მეტი უნდა აღზარდოს და დააწინაუროს ძირითად გუნდში.

არის მეორე გზაც, სკაუტინგის განვითარება და უცხო, ახალ ბაზარზე გასვლა, საიდანაც ახალგაზრდა ფეხბურთელებს ჩამოიყვანს გუნდი და შემდგომში მათი გაყიდვით ნახავს სარგებელს. რათქმაუნდა სავსებით შესაძლებელია ორივე ეს მიმართულება განახორციელოს კლუბმა.

ერთერთი დიდი გამოწვევა რაც კლუბის წინაშე დგას არის ცარიელი ტრიბუნები. ამ გამოწვევის წარმატებით დაძლევას ბევრი სხვა პრობლემის მოგვარება შეუძლია.

როგორც უკვე ვახსენე ზემოთ, დინამო გულშემატკივრის იდენტობას წარმოადგენდა სტადიონზე, მათ მაგივრად თამაშობდა ფეხბურთს თითოეული დინამოელი. თავად გულშემატკივრებიც დინამოელები იყვნენ და ამ გუნდის წევრად თვლიდნენ თავს. ასე იზრდებოდა თაობები. იმისათვის რომ დღევანდელ თაობას დაუბრუნდეს ინტერესი დინამოს მიმართ საჭიროა სწორი მარკეტინგული კამპანიების დაგეგმვა სწორ აუდიტორიაზე. ზრდასრული ადამიანის ქცევის შეცვლა ძალიან რთულია, ამიტომ მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს სკოლის ასაკის თაობაზე. იმათზე ვისაც ახლა უყალიბდება ინტერესები და შედარებით მარტივად მიიღებს კლუბის მესიჯს.

კამპანიების ძირითადი ლოკაციები - დიდუბე, დიღომი, ნახალოვკა.

კამპანიების მთავარი აუდიტორია - სკოლები, უბნები.

ძირითადი მესიჯი - იდენტობა, შენი უბანი - შენი გუნდი.

შეიძლება ეს მესიჯი ძალიან ვიწრო აუდიტორიისთვის ჩანს, რადგან დინამო მთლიანად ქალაქისაა და ეს გარკვეულწილად შემცირებაა აუდიტორიის, მაგრამ რეალობა სხვანაირია. ეს უნდა მიიღოს კლუბმა და დაიწყოს მუშობა კონკრეტულ აუდიტორიაზე. ქალაქის დანარჩენ ნაწილს კი ინერცია შედეგი მოიყვანს სტადიონზე.

კონკრეტულ კამპანიებს რაც შეეხება, რამდენიმე მიმართულება განსაკუთრებით უნდა გააქტიურდეს.

1. აუცილებელია კლუბმა გამართოს კამპანიები სკოლებში, მიიყვანოს ფეხბურთელები და გაკეთდეს აქტივობები მოსწავლეებთან ერთად.
2. ასევე აუცილებელია ციფრული (დიგიტალ) მიმართულებით აქტიურობა. თანამედროვე ადამიანი ციფრულ სივრცეში ბევრად მეტ ინფოტმაციას იღებს, შესაბამისაც დინამოსაც შეუძლია ამ მიმართულებით მეტი რესურსის ხარჯვა, რასაც აუცილებლად მოყვება შედეგი. მაქსიმალურად უნდა აითვისოს კლუბმა სხვადასხვა სოციალური ქსელი და შექმნას განსხვავებული კონტენტი ამ სოციალური ქსელებისთვის. რაც მთავარია, აუცილებლად უნდა ჩართოს კონტენტის მენეჯერმა კონტენტის შინაარსში როგორც ფეხბურთელები და სხვა რესურსების კლუბის, ასევე მაყურებელი, რათა გაზარდოს ინტერაქცია.
3. ერთერთი ფაქტორი რასაც მაყურებლის სტადიონზე მოყვანა შეუძლია არის ფეხბურთელი. ვარსკვლავი, რომლის სანახავადაც ხალხი ივლის თამაშებზე. საჭიროა საკუთარი ფეხბურთელების პოპულარიზარია. მითუმეტეს ამის ფუფუნება აქვს გუნდს რომ აკადემიის ფეხბურთელები, რომლებზეც იმედებს ამყარებს ქართული საფეხბურთო თემი, იყვნენ პოპულარულები, იგრძნონ თავი ფეხბურთელად და ქონდეთ პასუხისმგებლობა ახალგაზრდული ასაკიდანვე. ეს შეიძლება წნეხი იყოს გარკვეულწილად, მაგრამ ამისთვის მზად უნდა იყოს ყველა, ვისაც აქვს ამბიცია გახდეს ვარსკვლავი. რათქმაუნდა კლუბიც მოამზადებს ფეხბურთელს მენტალურად და ფსიქოლოგიურად, ასე რომ ბევრად მეტი სარგებელი შეიძლება ქონდეს, ვიდრე რისკი.

4. კიდევ ერთი მიმართულება რაშიც აუცილებელია აქტიურობა არის - სოციალური პასუხისმგებლობა. არ არის აუცილებელი ყოველთვის ფინანსურ დახმარებას გულიხმობდეს ამ მიმართულების კამპანია. სამწუხაროდ ჩვენს გარშემო ბევრია მიუსაფარ ბავშვთა სახლები, მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა სახლები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სახლები, ასევე სხვადასხვა მოხუცთა თავშესაფრები. დინამოს შეუძლია საშინაო თამაშზე დასწრება მათთვის კარგ ტრადიციად აქციოს და დაპატიჟოს სტადიონზე.

რათქმაუნდა, დინამო არენის გავსება არაა მარტივი და მეტიც, ცოტა წარმოუდგენლად ჩანს ეროვნული ლიგის საშინაო თამაშებზე 50 000 ზე მეტი მაყურებელი მივიდეს. ეს რათქმაუნდა პირველ ეტაპზე, დაახლოებით 1-1.5 წელში, ვფიქრობ საშუალოდ 15 000 მაყურებლის მოყვანა სავსებით რეალურია.

ასევე რეალურია დინამო თბილისი გახდეს ისეთივე დონის გუნდი, როგორიც მაგალითად ზაგრების დინამოა, მთავარია კლუბის თითოეულმა წევრმა იცოდეს რას აკეთებს, რისთვის აკეთებს და ვისთვის აკეთებს, მიჰყვეს იმ გეგმებსა და მიზნებს, რომელსაც კლუბი დაისახავს.

გამოყენებული წყაროები

1. დინამო თბილისი ოფიციალური ვებ გვერდი, სადაც მოცემულია კლუბის მიერ ისტორიის მანძილზე მოპოვებული ტიტულები https://fcdinamo.ge/ge/club/titles
2. დინამო თბილისის ოფიციალური ვებ გვერი სადაც მოცემულია ისტორიის მანძილზე კლუბის ყველა მთავარი მწვრთნელი (ნაშრომში გამოყენებული მაქვს ბოლო დეკადის განმავლობაში გაშვებული მწვრთნელების რაოდენობა https://fcdinamo.ge/ge/club/coaches
3. ერთერთი ინტერნეტ გადაცემა, სადაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე პრეზიდენტი, ნიკა ჯღარკავა საუბრობს საბჭოთა ფეხბურთის მასშტაბებზე და ახსენებს იმ პერიოდში ფეხბურთში ჩართული ადამიანების რაოდენობას https://fcdinamo.ge/ge/club/coaches
4. ქართული მხატვრული ფილმი „ფეოლა“, ნაშრომში გამოყენებული მაქვს ერთერთ ფაქტად, თუ როგორ ავალდებულებს სახელმწიფო მექანიზმი სახლმმართველობის მუშაკს ფეხბურთის გუნდის შექმნას https://www.youtube.com/watch?v=op4PLJHP5h8
5. სტატია ბუქარესტის დინამოს გულშემატკივრების მიერ შეძენილ ბილეთებზე, მატჩისთვის რომელსაც ვერ დაესწრებოდნენ და რეკორდულ მაჩვენებელზე გაყიდული ბილეთებისა https://www.reddit.com/r/football/comments/kymy0i/romanian_team_dinamo_bucharests_fans_bought/
6. მეორე სტატია ბუქარესტის დინამოსა და მის გულშემატკივრებზე და ასევე ფინანსურ კრიზისზე https://balkaninsight.com/2021/01/05/in-bucharest-fans-of-indebted-football-giant-pay-not-to-watch/
7. დონეცკის შახტარის ოფიციალური გვერდი სადაც მათი აკადემიის ისტორია და მიღწევებია ნაჩვენები https://shakhtar.com/en/club/academy/
8. დინამო ზაგრების ოფიციალური ვებ გვერდი სადაც კლუბის ისტორიაა ნაჩვენები https://gnkdinamo.hr/en/Club/History

9. სტატია დინამო ზაგრების აკადემიის შესახებ სადაც ავტორი მათ მიზნებსა და სავარჯიშო სპეციპიკაზე საუბრობს https://mypersonalfootballcoach.com/inside-dinamo-zagreb-academy/
10. სტატია დინამო ზაგრების აკადემიაზე, ისტორიაზე და აკადემიის აღზრდილებიზე https://mypersonalfootballcoach.com/inside-dinamo-zagreb-academy/